ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 32-111

7 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N15-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N15-47 დადგენილების (www.matsne.gov.ge; 06/03/2018; N010260300.35.101.016496) პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ წესში და წესის;

1. **მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. საქართველოს სპორტული ეროვნული ფედერაციების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, თბილისში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ჩასატარებლად, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება განხორციელოს თანადაფინანსება პროექტის ჯამური ღირებულების მაქსიმუმ 20%-ით. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაცია."

2. **მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:**

„3. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის ქალაქ თბილისში რეგისტრირებული სპორტსმენების დაჯილდოება შესაძლებელია შემდეგნაირად:

მსოფლიო ჩემპიონატი ოლიმპიური სახეობები	
ეროვნული	
I ადგილი	7000 ლარი
II ადგილი	5000 ლარი
III ადგილი	3000 ლარი
ახალგაზრდული	
I ადგილი	6000 ლარი
II ადგილი	3000 ლარი
III ადგილი	2000 ლარი
ჭაბუკები	
I ადგილი	3000 ლარი
II ადგილი	2000 ლარი
III ადგილი	1000 ლარი

ევროპის ჩემპიონატი ოლიმპიური სახეობები	
ეროვნული	
I ადგილი	5000 ლარი
II ადგილი	3000 ლარი
III ადგილი	2000 ლარი
ახალგაზრდული	
I ადგილი	3000 ლარი
II ადგილი	2000 ლარი
III ადგილი	1000 ლარი
ჭაბუკები	
I ადგილი	2000 ლარი
II ადგილი	1000 ლარი
III ადგილი	500 ლარი

მსოფლიო ჩემპიონატი არაოლიმპიური სახეობები	
ეროვნული	
I ადგილი	3000 ლარი
II ადგილი	2500 ლარი
III ადგილი	2000 ლარი
ახალგაზრდული	
I ადგილი	2500 ლარი
II ადგილი	2000 ლარი
III ადგილი	1500 ლარი
ჭაბუკები	
I ადგილი	2000 ლარი
II ადგილი	1500 ლარი
III ადგილი	1000 ლარი

ევროპის ჩემპიონატი არაოლიმპიური სახეობები	
ეროვნული	
I ადგილი	2500 ლარი
II ადგილი	2000 ლარი
III ადგილი	1500 ლარი
ახალგაზრდული	
I ადგილი	2000 ლარი
II ადგილი	1500 ლარი
III ადგილი	1000 ლარი
ჭაბუკები	
I ადგილი	1500 ლარი
II ადგილი	1000 ლარი
III ადგილი	500 ლარი “

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანვე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე